

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1716 (2006)

2006 წლის 13 ოქტომბერი

2007 უშიშროების საბჭო,

ეყრდნობა რა თავის ყველა ადრე მიღებულ რეზოლუციას, კერძოდ, 2006 წლი 31 მარტის 1666 რეზოლუციას (S/RS/1666):

... ადასტურებს ყველა წევრი სახელმწიფოს გადაწყვეტილებას საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის თაობაზე, მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში და მხარს უჭერს ყველა მცდელობას, გაწეულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გენერალური მდივნის მეგობარი ჯგუფის მიერ, რომლებიც ხელმძღვანელობენ პრინციპით, ხელი შეუწყონ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას მხოლოდ მშვიდობიანი გზით და უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ჩარჩოებში;

...იმისათვის, რომ კონფლიქტი მოგვარდეს, მოითხოვს მხარდაჭერას იმ პრინციპებისა, რომლებიც შესულია დოკუმენტში ძირითადი პრინციპების შესახებ სოხუმსა და თბილისს შორის კომპეტენციების განაწილების თაობაზე, და მიესალმება ახალ ინიციატივებს მხარეთა შორის კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგის წარმოებისა გაეროს ეგიდით;

...ითვალისწინებს რა უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ შესაბამის რეზოლუციებს, რომლებიც მოუწოდებდა ორივე მხარეს, თავი შეეკავებინათ ისეთი ქმედებებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ სამშვიდობო პროცესს, უშიშროების საბჭო გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საქართველოს მხარის ქმედებებისადმი 2006 წლის ივლისში კოდორის ხეობაში, აგრეთვე 1994 წლის 14 მაისის, ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების ყველა დარღვევისა და, საქართველოსა და აფხაზეთს შორის კოდორის ხეობასთან დაკავშირებით დადებული სხვა ხელშეკრულებების მიმართ;

...სთხოვს საქართველოს მხარეს უზრუნველყოს, რომ სიტუაცია ზემო კოდორის ხეობაში შეესაბამებოდეს მოსკოვის ხელშეკრულებას და რომ იქ არ უნდა იმყოფებოდნენ შეიარაღებული ძალები, რომლებიც არ არიან უფლებამოსილნი ამ ხელშეკრულებით;

...სთხოვს ორივე მხარეს, სრულიად დაიცვან წინა ხელშეკრულებები და გაგებით მოეკიდონ ცეცხლის შეწყვეტის, ძალის გამოყენებლობის, ურთიერთნდობის დამკვიდრებისათვის გატარებულ ზომებს და ხაზს უსვამს აუცილებლობას, რათა მკაცრად იქნას დაცული მოსკოვის ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების თაობაზე- ჰაერში, წყალზე, ხმელეთზე, მათ შორის, კოდორის ხეობაში.

...აღიარებს დსთ-ის მშვიდობისმყოფელთა და გაეროს მისიის მნიშვნელოვან როლს საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტურ ზონაში, ხაზს უსვამს გაეროს მისიისა და დსთ-ის მშვიდობისმყოფელთა ძალების მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობას, რადგანაც ისინი ამჟამად მასტაბილიზებელ როლს ასრულებენ კონფლიქტურ ზონაში; ყოველმხრივ ცდილობს გააფართოოს თანამშრომლობა მათთან და ადასტურებს, რომ კონფლიქტის გაგრძელებული და გონივრული მოგვარება მოითხოვს შესაბამის უსაფრთხოების გარანტიას;

...ერთხელ კიდევ სთხოვს საქართველოს მხარეს, სერიოზულად მოეკიდოს აფხაზური მხარის კანონიერი უსაფრთხოების საკითხებს, თავიდან აიცილოს ის ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც მუქარა, თავი შეიკავოს სამხედრო რიტორიკისაგან და პროვოკაციული ქმედებებისგან, განსაკუთრებით, ზემო კოდორის ხეობაში;

...სთხოვს აფხაზეთის ხელმძღვანელობას, სერიოზულად მოეკიდოს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილების დაბრუნების აუცილებლობის, აგრეთვე, უსაფრთხოებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის, ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებაში დამკვიდრების საკითხებს, განსაკუთრებით, გალის რაიონში, რათა შენარჩუნებულ იქნეს მათი საცხოვრისი და პიროვნული უფლებები; დაუყოვნებლივ წინა ვალდებულებების განხორციელებაზე, რაც დაკავშირებულია გაერთიანებული ერების საპოლიციო კომპონენტის განლაგებასა, გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ქვეოფისის გახსნასა და საკომუნიკაციო ენასთან;

...სთხოვს ორივე მხარეს, დაუყოვნებლივ დაასრულონ დოკუმენტების პაკეტის შექმნა ძალის გამოყენებლობის, ლტოლვილებისა ადგილგადანაცვლებულ პირთა დაბრუნების შესახებ, გალის

რაიონის მოსახლეობისათვის და გადადგან საჭირო ნაბიჯები ცივილიზებული მოსახლეობის, მათ შორის, უკვე დაბრუნებული მოსახლეობის ღირსების დასაცავად;

...მოუწოდებს გენერალურ მდივანს, გამოძებნოს კონფლიქტის მხარეებთან ერთად გზები და საშუალებები მხარეთა შორის ნდობის აღსადგენად, - სახელდობრ, გალისა და ზუგდიდის რეგიონების მცხოვრებთა კეთილდღეობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების წყალობით.

...მხარს უჭერს ქართული და აფხაზური მხარეების ყველა მცდელობას, დაამყარონ კონსტრუქციული ეკონომიკური თანამშრომლობა, როგორც ამას ითვალისწინებს ჟენევის შეხვედრები, აგრეთვე, 2003 წლის მარტში სოჭში შექმნილი სამუშაო ჯგუფები; ასევე მხარს უჭერს უსაფრთხოების ისეთი პირობების შექმნას, რომელიც იძლევა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საშუალებას და მიესალმება გერმანიის განზრახვას, უმასპინძლოს შეხვედრას მხარეთა შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და ურთიერთნდობის დასამკვიდრებლად, რაც აქამდე ვერ ხერხდებოდა კონფლიქტის მოგვარების პროცესში;

...ხაზს უსვამს ორივე მხარის უპირველეს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს გაეროს დამკვირვებელთა მისიის, დსთ-ის სამშვიდობო ძალებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის სათანადო უსაფრთხოება თავისუფალი გადაადგილებისას და მოუწოდებს ორივე მხარეს, შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი.

...გადაწყვეტს: გაუგრძელებს მანდატე გაეროს მისიის წარმომადგენლებს 2007 წლის 15 აპრილამდე.

www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი